სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა (ჯამში 3 – "ბ" კატეგორია) და ასისტენტ-პროფესორების (ჯამში 3; 1 - კატეგორია "ა" და 2 -კატეგორია "ბ") აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად რექტორის 2025 წლის 7 აგვისტოს №180/01-01 ბრძანებისა და 2025 წლის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №8 სხდომის ოქმის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი N4 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი 1 ოქტომბერი, 2025 წელი; 21:30 სთ;
თსუ III კორპუსი, აუდიტორია № 304

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
1. პროფესორი ლალი სურმანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 2. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი (კომისიის მდივანი) 3. პროფესორი მზია წერეთელი 4. პროფესორი იამზე კუტალაძე 5. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი 6.პროფესორი რევაზ ჯორბენაძე (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ); 7. მანანა ბუაჩიძე, პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA).

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, თსუ-ის რექტორის 2025 წლის 7 აგვისტოს №180/01-01 ბრძანების საფუძველზე 3 ასოცირებული პროფესორისა (განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი 2; შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი 1) და 3 ასისტენტ-პროფესორის (თითო- სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი; კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი და პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა ლალი სურმანიძემ წევრებს გააცნო ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების და კენჭისყრის შედეგების შესახებ.
2. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯერდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – **სოფიო დოლიძემ**.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის** ასოცირებული პროფესორის 2 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა – **ია აფთარაშვილმა** და **ნინო ლაბარტყავამ**.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის** ასისტენტ - პროფესორის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – **ნაზი ფარსადანიშვილმა**.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტის** ასისტენტ-პროფესორის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – **ქეთევან მოსაშვილმა**.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის** ასისტენტ-პროფესორის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – **ნათია სორდიამ**.

1. **სოფიო დოლიძე**

ვაკანტური პოზიცია: შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი

შეფასების პირველ ეტაპზე, სოფიო დოლიძემ

I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“;

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება;

III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) – 1)ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას- *მაღალი* 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას- *მაღალი*

IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) -ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - *მაღალი*; 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - *მაღალი*

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ სოფიო დოლიძეს აქვს 25 წელზე მეტი პროფესიული და აკადემიური გამოცდილება ფსიქოლოგიისა და განათლების

სფეროში. მისი საქმიანობა მოიცავს ლექტორობას, კვლევას, ტრენინგების ჩატარებასა და საგანმანათლებლო პოლიტიკის კვლევაში აქტიურ მონაწილეობას. სოფიო დოლიძე გამოირჩევა არა მხოლოდ მრავალწლიანი პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილებით, არამედ ინსტიტუციურ და საგანმანათლებლო აქტივობებში მაღალი ჩართულობით. იგი თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებს პასუხობს არა მხოლოდ სწავლების ხარისხით, არამედ ახალი მიმართულებებისა და ინოვაციური კურსების დანერგვით.

იგი ასევე მუშაობდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში (2004–2018 წწ) ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელად, ასევე იყო საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციის გამგეობის წევრი.

ის ასწავლის ისეთ კურსებს, როგორიცაა:

“კარიერის განვითარება და მენეჯმენტი”
“შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია”
“კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში”
“პიროვნების კვლევის მეთოდები”

აღნიშნული საგნები სტუდენტებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან ისინი არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულ უნარებსაც ავითარებს, რაც უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების პროფესიულ რეალიზაციასა და შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრაციას. სოფიო დოლიძე მომავალშიც გეგმავს ახალი საგნების დანერგვას, მათ შორის ისეთი კურსებისა, რომლებიც პასუხობს სტუდენტთა მზარდ მოთხოვნასა და უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

მისი პედაგოგიური საქმიანობა გამოირჩევა ინტერაქტიული მიდგომებითა და სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდებით. სტუდენტების მხრიდან მიღებული უკუკავშირი დადებითია, რაც ადასტურებს, რომ იგი ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც აძლიერებს სტუდენტთა მოტივაციას, ინტერესსა და ჩართულობას. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დიდწილად ეფუძნება სწორედ სტუდენტთა გამოცდილებისა და შეფასებების გათვალისწინებას.

გარდა საგაკვეთილო პროცესისა, სოფიო დოლიძე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინსტიტუტის სამეცნიერო და ორგანიზაციულ საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს სტუდენტურ სამეცნიერო ჟურნალს, რაც არა მხოლოდ სტუდენტების კვლევით აქტივობებს უწყობს ხელს, არამედ აკადემიურ საზოგადოებაში ახალგაზრდა მკვლევართა ინტეგრაციისა და მათი პირველი სამეცნიერო ნაბიჯების მხარდამჭერი პლატფორმის შექმნასაც ემსახურება. ამით ის ხელს უწყობს უნივერსიტეტში კვლევითი კულტურის გაძლიერებას და სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში სოფიო დოლიძემ გამოკვეთა საკონკურსო პროფილი, სამომავლო გეგმები და რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში.

მისი სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს:

- პუბლიკაციებს საქართველოში და საერთაშორისო გამოცემებში (მაგალითად Peter Lang Verlag, Berlin, 2024);
- კვლევებს ინკლუზიური განათლების, დისტანციური სწავლების, კარიერული კონსულტაციის, და ადამიანური რესურსების მართვის სფეროებში;
- საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, მათ შორის UNICEF, UNDP, GIZ, USAID და NATO-ს დაფინანსებით განხორციელებულ კვლევებში

მისი ციტირების ინდექსია: 47; h-ინდექსი: **3;** g-ინდექსი: **5,** რაც მიუთითებს მისი ნაშრომების აღიარებასა და სამეცნიერო ინტერესზე.

მის სამომავლო გეგმებს შორისაა:

1. კვლევის გაგრძელებას ორგანიზაციული ქცევის სფეროში —
2. საერთაშორისო პარტნიორობების გაფართოებას —
3. ახალი სასწავლო მოდულების შექმნას თსუ-ში – კარიერული განვითარებისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სოფიო დოლიძის პროფესიული კომპეტენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც თანამედროვე უნივერსიტეტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კარიერული მომსახურებისა და პროფესიული კონსულტაციის განვითარებას. მისი ხედვები და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის შესაძლებლობას, რომ ინსტიტუტში დამკვიდრდეს თანამედროვე, მოთხოვნებზე მორგებული კურსები, რომლებიც გააძლიერებს სტუდენტთა მომზადებას როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული კარიერული გზებისთვის. ამასთან, მისი აქტიურობა ინსტიტუციურ დონეზე, პასუხისმგებლობის მაღალი დონე და ინიციატივები ადასტურებს, რომ იგი ფაკულტეტისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან კანდიდატს.

კომისიის წევრებმა დაადგინეს,რომ სოფიო დოლიძის პრაქტიკული, კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება მნიშვნელოვანია სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და დარგის შემდგომი განვითარებისთვის.

2. ია აფთარაშვილი

ვაკანტური პოზიცია: განათლების ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასოცირებული ფსიქოლოგის პოზიცია.

შეფასების პირველ ეტაპზე, ია აფთარაშვილმა

I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“;

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება;

III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) 1)ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას - *მაღალი* 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას- *მაღალი.*

IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) *1)* ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - *მაღალი*; 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - *მაღალი.*

ია აფთარაშვილმა 2011–2024 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში როგორც ასისტენტ და ასოცირებული პროფესორი, ასევე იყო განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. ამ პერიოდში ის ჩართული იყო როგორც ფუნდამენტურ კვლევებში, ასევე განათლების პოლიტიკის ფორმირებაში, მათ შორის ევროპული განათლების სივრცის სამუშაო ჯგუფში.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ია აფთარაშვილს აქვს 20 წელზე მეტი სწავლების გამოცდილება როგორც ბაკალავრიატის, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, სადაც ის ასწავლიდა ისეთი კურსებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება განათლების ფსიქოლოგიის ძირითად მიმართულებებს.

ბაკალავრიატის საფეხური:

1. ფსიქოლოგიის საფუძვლები I
2. განათლების ფსიქოლოგია
3. კოგნიტური პროცესები სწავლა-სწავლებაში
4. სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები და მათი გამოყენების პრაქტიკა
5. კოგნიტური ფსიქოლოგია I და II
6. განვითარების ფსიქოლოგია I და II
7. აკადემიური წერა
8. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია
9. კვლევითი ნაშრომი

მაგისტრატურის საფეხური:

1. განათლების ფსიქოლოგია II
2. ზრდასრულთა განათლების ფსიქოლოგია
3. შეფასება განათლებაში
4. განათლების სისტემები და ხარისხის უზრუნველყოფა
5. პრაქტიკა – განათლების კვლევები და შეფასებები (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტთან თანამშრომლობით)

დოქტორანტურის საფეხური:

1. სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები
2. კვლევის მეთოდები

მისი პედაგოგიური გამოცდილება ეფუძნება ინტერაქტიულ და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევას და სტუდენტთა მოტივაციის ზრდას.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში ია აფთარაშვილმა გამოკვეთა საკონკურსო პროფილი და რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში. მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ფოკუსირებულია განათლების პროცესის კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განზომილებებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა პროფესიულ იდენტობას, მათ მენტალურ სქემებსა და ეფექტიანი სწავლების აღქმას, რაც უკვე ინტეგრირებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კვლევით კონტექსტებში.

ია აფთარაშვილის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევები მოიცავს ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა აკადემიური „მე“-კონცეფცია, მოტივაცია, პროფესიული ორიენტაცია, ბილინგვური განათლების მოდელების შესწავლა, ინკლუზიური პრაქტიკები და სასკოლო კლიმატი. აღნიშნული კვლევები ფართოდ არის წარდგენილი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე და უკვე ინტეგრირებულია განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბოლო პერიოდის კვლევები, რომლებიც მიმართულია განათლების ციფრული ტრანსფორმაციის ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლისკენ. მისი სამომავლო კვლევითი ხედვა მოიცავს ისეთ თანამედროვე გამოწვევებს, როგორიცაა: „ციფრული მსწავლელის“ კოგნიტური და მეტაკოგნიტური მექანიზმები, სოციალური და ემოციური სწავლების გავლენა აკადემიურ შედეგებზე, ასევე ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ეთიკური და პრაქტიკული საკითხები განათლებაში.

მისი ციტირების ინდექსია **47;** h-ინდექსი: **3** g-ინდექსი: **5,** რაც მიუთითებს სტაბილურ საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობაზე და პუბლიკაციებზე არსებულ რეალურ ინტერესზე.

მისი სამომავლოდ გეგმები მოიცავს:

- განათლების ციფრული ტრანსფორმაციის ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევას;
- სოციალურ-ემოციური სწავლებისა (SEL) და კეთილდღეობის გავლენის შესწავლას აკადემიურ წარმატებაზე;
- ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების ეთიკური და პედაგოგიური მოდელების კვლევას;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას და ინსტიტუტის კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, მეტყველების მანერა. ია აფთარაშვილი არა მხოლოდ კვლევითი, არამედ ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან კანდიდატურას წარმოადგენს. მისი გამოცდილება ევროპულ საგანმანათლებლო სტრუქტურებთან თანამშრომლობაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას, რომ ინსტიტუტმა მოიზიდოს საერთაშორისო დაფინანსებები (მაგ. Horizon Europe), განავითაროს ახალი ინტერდისციპლინური კურსები და გააძლიეროს საკუთარი პოზიციონირება, როგორც ექსპერტული ცენტრი

კომისიის შეფასებით, ია აფთარაშვილის შერჩევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს:

- უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას,
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას,
- განათლების ფსიქოლოგიის კვლევითი და სასწავლო მიმართულების გაძლიერებას.

კომისიის წევრებმა დაადგინეს, რომ ია აფთარაშვილს აქვს საკონკურსო პროფილის საფაკულტეტო და ზოგიერთი სხვა სასწავლო კურსის გაძღოლის საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება. მას აქვს მკაფიო ხედვა განათლების ფსიქოლოგიის თანამედროვე გამოწვევებზე — მათ შორის ციფრულ ტრანსფორმაციასა და სოციალურ-ემოციურ სწავლაზე. ია აფთარაშვილი არის მიზანდასახული და აქვს სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც შეესაბამება სასწავლო-სამეცნიერო პროფილს. არის ჩამოყალიბებული მეცნიერი თავისი აკადემიური ღირებულებებით. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს.

3.ნინო ლაბარტყავა

ვაკანტური პოზიცია: განათლების ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასოცირებული ფსიქოლოგის პოზიცია.

შეფასების პირველ ეტაპზე, ნინო ლაბარტყავამ

I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“;

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება;

III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) – 1)ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და
კვლევითი პროცესების ინტეგრაციას - *მაღალი* 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას- *საშუალო*

IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) -*1)* ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - *მაღალი*; 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - *საშუალო*

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, ნინო ლაბარტყავას აკადემიური და პრაქტიკული საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება განვითარების ფსიქოლოგიასა და სკოლამდელ განათლებას. მას აქვს 15 წელზე მეტი პედაგოგიური გამოცდილება უნივერსიტეტში და ამასთან ერთად მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკა სკოლის ფსიქოლოგის პოზიციაზე, რაც მის პროფილს განსაკუთრებულ სიღრმესა და პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მას აქვს ისეთ საგნების წაკითხვის გამოცდილება, როგორებიცაა:

1. „სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია“,
2. „ქცევითი პრობლემები სკოლაში“
3. „განათლების ფსიქოლოგია“.

აღნიშნული კურსები დაფუძნებულია როგორც თეორიულ ცოდნაზე, ასევე მის მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებაზე.

2019 წლიდან ნინო ლაბარტყავა მუშაობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში (TPDC) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის მენეჯერის პოზიციაზე. ამ როლში იგი ხელმძღვანელობს საბავშვო ბაღების პერსონალის გადამზადებისა და პრაქტიკაში მხარდაჭერის პროცესებს, რაც ადასტურებს მის ლიდერულ უნარებსა და განათლების პოლიტიკის განვითარების პროცესში ჩართულობას. ამასთანავე, იგი არის ჟურნალის „ადრეული განათლება“ მთავარი რედაქტორი, რაც ხაზს უსვამს მის სიღრმისეულ როლს როგორც აკადემიურ, ისე საგანმანათლებლო დისკურსში.

ნინო ლაბარტყავას სამეცნიერო ინტერესები კონცენტრირებულია ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებასა და განათლების ფსიქოლოგიაზე. ის განსაკუთრებულად იკვლევს:

- **სასკოლო მზაობის** პროცესს — როგორ ხდება ბავშვის, მშობლისა და სკოლის ურთიერთმზაობა ეფექტიანი ტრანზიციისთვის;
- **ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის** დანერგვას განათლების სისტემაში და მოზრდილთა (მშობელთა, პედაგოგთა, საზოგადოების) წარმოდგენებს ბავშვის განვითარებაზე;
- **ბავშვის კეთილდღეობასა და ჩართულობას** საბავშვო ბაღებში, განსაკუთრებით თამაშზე დაფუძნებული სწავლების ხარისხთან კავშირს

აღსანიშნავია, რომ ნინო ლაბარტყავას აქვს პუბლიკაციები ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში, არის მეთოდლოგიური მასალების ავტორი/თანაავტრი.

სამოტივაციო წერილში აღნიშნულია, რომ ნინო ლაბარტყავას სამომავლო გეგმებია:

1. **კვლევის გაგრძელება ადრეული ასაკის განათლების სფეროში** — ის გეგმავს უფრო სიღრმისეულად შეისწავლოს ბავშვის კეთილდღეობა და ჩართულობა საბავშვო ბაღებში, განსაკუთრებით თამაშზე დაფუძნებული სწავლების კონტექსტში.

2. **სასკოლო ტრანზიციის ეფექტიანობის კვლევა** — იგეგმება იმ პირობების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის ადაპტაციასა და წარმატებულ ჩართულობას სკოლაში, განსაკუთრებით მშობლებისა და პედაგოგების მზაობის ფაქტორების გათვალისწინებით.
3. **მოზრდილთა ცოდნისა და წარმოდგენების კვლევა ბავშვის განვითარებაზე** ნინო ლაბარტყავა აპირებს გამოიკვლიოს, როგორ აღიქვამენ მოზრდილები ბავშვის აღზრდისა და სწავლების თავისებურებებს, რა წყაროებიდან იღებენ ინფორმაციას და როგორ უკავშირდება ეს საზოგადოებრივი წარმოდგენები განათლების პოლიტიკურ და პრაქტიკულ რეფორმებს.
4. **ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვის მხარდაჭერა** — მისი სამომავლო მიზანია კვლევის შედეგების გამოყენება განათლების პოლიტიკის გაუმჯობესებისა და პრაქტიკაში ცოდნის ინტეგრაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სწავლების კულტურის ჩამოყალიბებას.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული მიმართულებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისათვის, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ფაკულტეტის სასწავლო და კვლევითი პროგრამების გაძლიერებას. მისი საქმიანობა ქმნის შესაძლებლობას, რომ მომავალში უნივერსიტეტმა კიდევ უფრო განავითაროს ადრეული განათლების კვლევითი და საგანმანათლებლო კომპონენტები, რითაც ხელს ფაკულტეტის პოზიციის გაძლიერებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კომისია შეჯერდა, რომ ნინო ლაბარტყავა არის ჩამოყალიბებული მეცნიერი თავისი აკადემიური ღირებულებებით. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს.

4.ნაზი ფარსადანიშვილი-
ვაკანტური პოზიცია: სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი

შეფასების პირველ ეტაპზე, ნაზი ფარსადანიშვილმა

I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“;
II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო *მაღალი* შეფასება;
III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) – 1)ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას- *მაღალი* 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას- *მაღალი*

IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) -ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - *მაღალი*; 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - *მაღალი*

ნაზი ფარსადანიშვილი არის ფსიქოლოგიის დოქტორი (თსუ, 2021) **და** ასისტენტ-პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. მისი სადისერტაციო კვლევის თემატიკა უკავშირდებოდა სტიგმის აღქმასა და სოციალური იდენტობის საკითხებს საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ჯგუფებში.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ნაზი ფარსადანიშვილს აქვს მდიდარი სამსახურებრივი გამოცდილება როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ და პრაქტიკულ სფეროში: მუშაობდა როგორც ასისტენტ-პროფესორი თსუ-ში, ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემებში ფსიქოლოგიურ და ახალგაზრდულ პროგრამებზე.

ის კითხულობს მრავალფეროვან საგნებს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის დონეზე. მათ შორისაა

ბაკალავრიატის საფეხური:

1. „სოციალური ფსიქოლოგია 1 და 2“,
2. „ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1 და 2“,
3. „კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“,
4. „არავერბალური კომუნიკაცია“,
5. „ცრუ რწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია“

მაგისტრატურის საფეხური:

1. „სოციალური სამართლიანობის თეორიები“,
2. „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია და სოციალური ინტერვენციები“ და სხვა.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ნაზი ფარსადანიშვილის კვლევები სიღარიბეში მცხოვრებ მოსახლეობასა და უმუშევარ ახალგაზრდებზე ამახვილებს ყურადღებას სოციალური უთანასწორობის ფსიქოლოგიურ შედეგებზე — თვითშეფასების დაქვეითებაზე, მოტივაციის დაკარგვაზე და სოციალური იზოლაციის განცდაზე. მისი სამუშაო მიზნად ისახავდა ამ ჯგუფების სოციალური ჩართულობის გაზრდას, ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და განათლებაში ჩართვის გზების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სოციალური ინტეგრაციისა და თანასწორობის გაძლიერებას

გასათვალისინებელია, რომ ბოლო წლებში გამოქვეყნებული აქვს სტატიები საერთაშორისო რეფერირებად და ინდექსირებულ ჟურნალებში (*Trends in Psychology, Professional Studies: Theory and Practice* და სხვ.). მის მიერ ჩატარებული

კვლევები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალურ ფსიქოლოგიაში და უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევით საქმიანობაში.

ასევე აღსანიშნავია მისი ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში (ERASMUS+ პროგრამა, სტაჟირება ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტსა და ჟენევის უნივერსიტეტში) და მიმდინარე კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობა, მათ შორის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ თემატიკებზე.

ფარსადანიშვილი აქტიურადაა ჩართული ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმიანობაში და ის ასრულებს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის მდივნის მოვალეობას.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში ხაზგასმულია, რომ ნაზი ფარსადანიშვილის სამეცნიერო საქმიანობა და სამომავლო ხედვა ორიენტირებულია:

1. **სიღარიბის ფსიქოსოციალური შედეგების კვლევის გაგრძელებაზე** – სიღარიბის სტიგმის, სოციალური იდენტობისა და ფსიქოლოგიური ადაპტაციის საკითხებზე.
2. **სოციალური იდენტობისა და სტიგმის თეორიების განვითარებაზე**, განსაკუთრებით ისეთ თემებზე, როგორებიცაა დისკრიმინაციის აღქმა და სოციალური სამართლიანობის განცდა.
3. **საერთაშორისო თანამშრომლობაზე** – მონაწილეობა შოთა რუსთაველის ფონდის პროექტში *„ყოფილი ემიგრანტების რეადაპტაციული გამოცდილება“* (პროექტის კოორდინატორი) და სამეცნიერო პარტნიორობა ლუვენისა და ჟენევის უნივერსიტეტებთან
4. **ახალი თაობის მკვლევართა მხარდაჭერაზე** – მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა და სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა კვლევით საქმიანობაში.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ნაზი ფარსადანიშვილის განათლება, პედაგოგიური გამოცდილება და სამეცნიერო ინტერესები სრულად შეესაბამება დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის — ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორის მოთხოვნებს.

იგი არის ჩამოყალიბებული მეცნიერი თავისი აკადემიური ღირებულებებით. მისი შერჩევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერებასა და ახალი კვლევითი მიმართულებების განვითარებასა და ინოვაციური სასწავლო კურსების დანერგვას. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს.

5. ქეთევან მოსაშვილი

ვაკანტური პოზიცია: პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი

შეფასების პირველ ეტაპზე, ქეთევან მოსაშვილმა:

- **I კატეგორიაში** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო შეფასება: *„კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“*;
- **II კატეგორიაში** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) – *მაღალი შეფასება*;
- **III კატეგორიაში** (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) – 1)ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას - *მაღალი* 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას- *მაღალი*
- **IV კატეგორიაში** (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) – *1)* ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - *მაღალი*; 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - *საშუალო*

ქეთევან მოსაშვილი 2017–2025 წლებში იკავებდა ასისტენტ პროფესორის პოზიციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც აქტიურად იყო ჩართული როგორც სასწავლო პროცესში, ისე ორგანიზაციულ საქმიანობაში. პარალელურად ხელმძღვანელობდა არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტს, მათ შორის Erasmus+ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავდა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების განვითარებასა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების გაძლიერებას. აღნიშნული გამოცდილება მოწმობს მის უნარს, საერთაშორისო გამოცდილება გადმოიტანოს ადგილობრივ კონტექსტში და მოახდინოს ფაკულტეტის განვითარების პროცესში მისი ინტეგრირება.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილი ადასტურებს, რომ ქეთევან მოსაშვილს მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება აქვს საკონსულტაციო ცენტრების მართვაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ჩართულობა პანდემიის პერიოდში, როდესაც იგი კოორდინაციას უწევდა ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზის მუშაობას და ახორციელებდა სუპერვიზიას. ამ საქმიანობამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მისი მაღალი პასუხისმგებლობა და პროფესიული კომპეტენცია კრიზისულ პირობებში.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქეთევან მოსაშვილი მუშაობდა აშშ-ის Bridgewater State University-ში მოწვეულ პროფესორად, სადაც ის ასწავლიდა ლიბერალური განათლების მოდელზე დაფუძნებულ პროგრამებში. აქ მან გაიღრმავა ცოდნა თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებისა და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების შესახებ, რაც მის პედაგოგიურ საქმიანობას ახალ შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ გამოცდილებას მატებს.

მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს რელიგიის, სულიერებისა და ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის კვლევებს. მას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, სადაც ყურადღება გამახვილებულია სულიერებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ურთიერთკავშირზე, ასევე სოციალურ-კულტურული კონტექსტების გავლენაზე ინდივიდუალურ კეთილდღეობაზე. აღნიშნული მიმართულებები ითვლება თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მზარდ სფეროდ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მისი სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელობას.

2025 წლის მონაცემებით, ავტორის ციტირების ინდექსი შეადგენს **8-ს**, რაც მიუთითებს მის კვლევებზე არსებული მეცნიერული ინტერესისა და გამოყენების დინამიკაზე.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, მეტყველების მანერა. ქეთევან მოსაშვილი სამომავლოდ გეგმავს:

განათლებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას — აშშ-ში (Bridgewater State University) მიღებული გამოცდილების გამოყენებით სურს თსუ-ში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, მათ შორის:

საერთაშორისო თანამშრომლობის გაგრძელებას — COIL (Collaborative Online International Learning) მოდულის დანერგვას, რათა თსუ-სა და აშშ-ის სტუდენტები ერთობლივ პროექტებში ჩაერთონ; პარტნიორობის გაღრმავებას გერმანიის, შვედეთისა და ამერიკული უნივერსიტეტების კვლევით ცენტრებთან.

თსუ ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის განვითარებას — გეგმავს ცენტრის საქმიანობის გაფართოებას და ამერიკული პრევენციული პრაქტიკების ინტეგრირებას.

კვლევითი საქმიანობის გაგრძელებას — სურს განავითაროს კვლევები პიროვნების, ჯანმრთელობის, სულიერების და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიმართულებებით.

პროფესიული ზრდასა და ინსტიტუტთან თანამშრომლობა — აპირებს აქტიურად ჩაერთოს პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტის საქმიანობაში და თავისი საერთაშორისო გამოცდილებით ხელი შეუწყოს გუნდის პროფესიულ განვითარებას

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ქეთევან მოსაშვილის განათლება, პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო ინტერესები და საერთაშორისო ჩართულობა სრულად შეესაბამება ვაკანტური თანამდებობის — ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის — მოთხოვნებს. მისი შერჩევა შეუწყობს ხელს ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებასა და საკონსულტაციო სერვისების განვითარებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც ფაკულტეტის, ისე მთლიანად უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შესრულებისთვის.

6. **ნათია სორდია**

ვაკანტური პოზიცია: კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი

შეფასების პირველ ეტაპზე, ნათია სორდიამ:

- **I კატეგორიაში** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო შეფასება: *„კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“*;
- **II კატეგორიაში** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) – *მაღალი შეფასება*;
- **III კატეგორიაში** (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) – 1)ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას -*მაღალი* 2) ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას - *მაღალი*
- **IV კატეგორიაში** (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) – ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - *მაღალი*; 2)ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - *მაღალი*

ნათია სორდიას აქვს მრავალფეროვანი პედაგოგიური გამოცდილება. ის თსუ-ში კითხულობს საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს („პიროვნების ფსიქოლოგია“, „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „ექსპერიმენტული ფსიქოლოგია“, „განწყობის ფსიქოლოგია“), ასევე სხვა უნივერსიტეტებში („პოზიტიური ფსიქოლოგია“, „პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგია“, „აკადემიური წერა“). ამ კურსებს ახლავს მისი ავტორობით შემუშავებული სილაბუსები, მათ შორის *„შემოქმედებითობის ფსიქოლოგია“*, რაც ხაზს უსვამს მისი სასწავლო-მეთოდური კომპეტენციების მაღალ დონეს

მისი სამეცნიერო საქმიანობა ინტენსიურია და საერთაშორისო მასშტაბითაა აღიარებული. სორდიას სტატიები გამოქვეყნებულია მაღალი იმპაქტის მქონე ჟურნალებში (*Journal of Individual Differences*, *Psychology of Aesthetics, Creativity, and the Arts*, *Swiss Journal of Psychology* და სხვ.), სადაც იგი თანამშრომლობს როგორც ქართველ, ისე ევროპელ მკვლევრებთან. მას აქვს მაღალი ციტირების მაჩვენებლები (109), h-ინდექსი 6 და g-ინდექსი 8, რაც მიუთითებს მისი ნაშრომების სიღრმესა და სამეცნიერო მნიშვნელობაზე.

ნათია სორდიას საგრანტო გამოცდილება მოიცავს როგორც შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებულ კვლევებს, ასევე DAAD-ის მხარდაჭერილ საერთაშორისო პროექტებს, რომელთა ფარგლებში იკვლია შემოქმედებითობის, პიროვნული თავისებურებებისა და ემოციური ინტელექტის კავშირი. ის აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში — ჰაიდელბერგისა და გრაცის უნივერსიტეტებში, ასევე გოეთეს უნივერსიტეტში, სადაც ჩაატარა კვლევები და გაიარა სტაჟირება.

ბოლო წლებში სორდია ჩართული იყო როგორც პრაქტიკულ, ისე ადმინისტრაციულ საქმიანობაში: ის არის აკრედიტაციის ექსპერტი NCEQE-ში, აქტიურად მუშაობდა განათლების ტექნოლოგიების დანერგვის საერთაშორისო პროექტებში (DITECH), იყო კარიერის მართვის სერვისების კოორდინატორი უნარების სააგენტოში და სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პროგრამაში ტრენერი და სუპერვიზორი. ამ გამოცდილებამ გააძლიერა მისი შესაძლებლობა, დააკავშიროს კვლევითი და სასწავლო პროცესები უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან

მისი სხვა მიღწევებიდან აღსანიშნავია ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერა, ფსიქოლოგთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარეობა და თსუ-სგან მიღებული სპეციალური მედალი, როგორც ახალგაზრდა ქალი მეცნიერი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფსიქოლოგიის დარგის განვითარებაში.

კომისიის წევრებმა დაადგინეს, რომ ნათია სორდიას განათლება, პედაგოგიური გამოცდილება და სამეცნიერო ინტერესები სრულად შეესაბამება ასისტენტ-პროფესორის პოზიციის მოთხოვნებს კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში. მისი შერჩევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინსტიტუტის კვლევით-საგანმანათლებლო პოტენციალის გაძლიერებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას და შემოქმედებითობისა და პიროვნების ფსიქოლოგიის კვლევის მიმართულების განვითარებას.

დაადგინეს:

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის** ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (ერთი საშტატო ერთეული – „ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს **სოფიო დოლიძე**.

   თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის** ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (ორი საშტატო ერთეული – „ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდნენ **ია აფთარაშვილი** და **ნინო ლაბარტყავა**.

   თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის** ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (ერთი საშტატო ერთეული – „ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს **ნაზი ფარსადანიშვილი**.

   თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტის** ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (ერთი საშტატო ერთეული – „ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს **ქეთევან მოსაშვილი**.

   თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის **კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის** ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (ერთი საშტატო ერთეული – „ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს **ნათია სორდია**.

2. შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ–გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ლალი სურმანიძე - თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ანასტასია ქიტიაშვილი - თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი)

მზია წერეთელი - თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

იამზე კუტალაძე - თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ხათუნა მარწყვიშვილი - თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

რევაზ ჯორბენაძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი

მანანა გაბაშვილი, პროფესორი, ჯიპა